ვერსია: 2015 წლის ივლისი

“ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფის” შესყიდვების ზოგადი პირობები

I. ზოგადი ნაწილი

1. ქვემოთ მოცემული შესყიდვების ზოგადი პირობები ექსკლუზიურად განსაზღვრავს ჩვენს შესყიდვების შეკვეთებს და შესაბამისად, უნდა წარმოადგენდეს შესყიდვის ხელშეკრულების საგანს. მომწოდებლის სხვა პირობები არ იქნება ხელშეკრულების ნაწილი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ პირდაპირ არ განვაცხადებთ ჩვენს უთანხმოებას ამ პირობების მიმართ ან ჩვენ გვეცოდინება მომწოდებლის პირობების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება შესყიდვების ზოგად პირობებს და უპირობოდ მივიღებთ საქონელს.
2. ყველა შეკვეთა. თანხმობა და ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი შემდგომი ცვლილება ხელშეკრულებაში ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, თუ ორმხრივად დადასტურებული იქნება წერილობითი სახით. ცვლილებები ამ მუხლში ასევე წერილობითი სახით უნდა მოხდეს.
3. დამატებითი პირობები მოქმედებს აწყობის, მოვლა-შენახვის, შემოწმების, შეკეთების და სხვა სერვისების მიმართ.
4. ჩვენი შესყიდვების ზოგადი პირობები ასევე ძალაშია მომავალი ტრანზაქციების მიმართ მომწოდებელთან.

II. ფასები

შეკვეთაში მოცემული ფასები ფიქსირებულია და მოიცავს ყველა დამატებითი სერვისის ფასს, რომელიც საჭიროა ხელშეკრულებისთვის (მაგ. ფრახტის ღირებულება მიმწოდებლის ხარჯით (DDP) ჩვენს მისამართებზე მიწოდებისას Incoterms 2000 პირობებით, შეფუთვის, დაზღვევის, შემოწმების ხარჯები).

III. მოწოდების დრო

1. მოწოდების შეთანხმებული დროები სავალდებულოა და უნდა იყოს შესრულებული უპირობოთ. როგორც კი მომწოდებელი აღმოაჩენს, რომ მას მთლიანად ან ნაწილობივად არ შეუძლია შეასრულოს მისი ვალდებულებები ხელშეკრულების მიხედვით ან რომ მას არ შეუძლია დროულად შეასრულოს მისი ვალდებულებები ხელშეკრულების მიხედვით, მან დაუყოვნებლივ უნდა გვაცნობოს ჩვენ წერილობითი სახით, სადაც მოცემული იქნება დაყოვნების მოსალოდნელი ხანგრძლივობა და შესაბამისი მიზეზი.
3. თუ მომწოდებელი ვერ ასრულებს მის ვალდებულებას მიწოდებასთან/სერვისის აღმოჩენასთან დაკავშირებით შეთანხმებულ დროში, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონის შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს უფლება დავარიცხოთ მას ჯარიმა ხელშეკრულების შესაბამისად, მოწოდების დაგვიანებისთვის.

IV. გარანტია

1. მომწოდებელი გარანტიას იძლევა, რომ მოწოდებული საქონელი აკმაყოფილებს სპეციფიკაციებს და ხარისხს, რომელიც შეთანხმებული იყო ხელშეკრულებაში, შეესაბამება აღიარებულ ტექნიკურ წესებს და მოქმედ კანონმდებლობას და ადმინისტრაციულ რეგულაციებს, კერძოდ, გარემოს დაცვის შესაბამის დებულებებს, რეგულაციებს უბედური შემთხვევების პრევენციის და დაქირავებულთა უფლებების დაცვის შესახებ და რომ მოწოდებულ საქონელს არ გააჩნია რაიმე დეფექტი, რომელმაც შეიძლება შეამციროს ან გაანულოს საქონლის ღირებულება ან გამოსადეგობა, ჩვეულებრივი/ხელშეკრულებით გათვალისწინენული გამოყენების თვალსაზრისით.

თუ ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაცია # 1907/2006 (2006 წლის 18 დეკემბერი) (ე.წ. REACH-რეგულაცია) მიმდინარე ვერსიაში მოქმედებს მოწოდებულ საქონელთან დაკავშირებით, მომწოდებელი გარანტიას იძლევა, რომ მოწოდებული საქონელი დააკმაყოფილებს REACH-რეგულაციის მოთხოვნებს (რეგისტრაციის ჩათვლით). მომწოდებელმა გარანტია უნდა მოგვცეს მესამე მხარის (მათ შორის სახელისუფლებო ორგანოების) მიერ ნებისმიერი პრეტენზიის წამოყენებაზე ჩვენს მიმართ, REACH-რეგულაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზით. მომწოდებელი ვალდებულია, შეგვატყობინოს ნებისმიერი ცვლილების შესახებ REACH სტანდარტებში, რაც ეხება მოწოდებულ საქონელს (მაგ. უსაფრთხოების შეცვლილ მონაცემებს) დაუყოვნებლივ და ჩვენი მხრიდან მოთხოვნის გარეშე.

3. ჩვენ უფლება გვაქვს პრეტენზიების განცხადებაზე საგარანტიო ვალდებულებების მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის ინდივიდუალურად შეთანხმებული მხარეებს შორის წერილობითი ფორმით. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, განვაცხადოთ პრეტენზია მიყენებულ ზიანზე, გარდა უფლებისა, განვაცხადოთ პრეტენზია დამხმარე მომსახურების მიმართ. დამხმარე მომსახურების შემთხვევაში (დეფექტების აღმოფხვრა ან შემდგომი მოწოდება), მომწოდებელს ეკისრება ყველა ხარჯი, რომელიც აუცილებელია დეფექტების აღმოფხვრისთვის ან შემდგომი მოწოდებისთვის. პრეტენცია მიყენებულ ზიანზე ასევე მოიცავს არაპირდაპირ, გამომდინარე და ფინანსურ ზარალს, რომელიც ჩვენ მოგვადგა დეფექტების მქონე საქონლის მოწოდებასთან მიზეზობრივი კავშირის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმწოდებელი მოქმედებდა დაუდევრობის გარეშე.

4. მოქმედებს გარანტიის პერიოდი, რომელიც რეგულირდება კანონმდებლობის მიერ. შეკეთებული ან შეცვლილი ნაწილისთვის გარანტიის ახალი პერიოდი მოქმედებს დროის იმავე ხანგრძლივობით, როგორც ორიგინალი ნაწილისთვის.

5. მომწოდებელმა უნდა დააფუძნოს და შეინარჩუნოს ხარისხის უზრუნველყოფის აღიარებული სისტემა და დაადასტუროს ეს ჩვენი მოთხოვნის შემთხვევაში.

6. ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულებების თვალსაზრისით, რაც აღებულია მომწოდებლის მიერ და გათვალისწინებულია პარაგრაფში IV.5, საქონელი უნდა შემოწმდეს მხოლოდ მისი ტიპის და რაოდენობის მხრივ და ასევე, გარეგნულად შესამჩნევ დაზიანებებზე, რომლებიც გამოწვეულია ტრანსპორტირებით მის მოწოდებამდე. მყიდველი დროულად აცნობებს ხარისხში არსებული დეფექტების შესახებ, 10 დღი ვადაში მათი აღმოჩენიდან. მომწოდებელი უარს ამბობს დეფექტის შესახებ შეტყობინების დაგვიანების გამოყენებაზე თავის დასაცავად.

V. მესამე მხარის უფლებები, უფლებები საწარმოო საკუთრებაზე და დიზაინზე

1. მომწოდებელი გარანტიას იძლევა, რომ მოწოდებულ საქონელზე არ ვრცელდება მესამე მხარის უფლებები, კერძოდ, მესამე მხარის უფლებები საწარმოო საკუთრებაზე, როგორიც არის პატენტები, დიზაინი, სავაჭრო ნიშნები და სავაჭრო დასახელებები. მომწოდებელი თანახმაა, რომ გარანტია მოგვცეს ნებისმიერ პრეტენზიაზე, რომელიც ეხება საკუთრების ნებისმიერი უფლების დარღვევას და ნებისმიერ ზიანზე ან ხარჯზე, რომელიც გამოწვეული იქნება მოწოდებული საქონლის გამოყენებასთან ან გაყიდვასთან, ხელშეკრულების შესაბამისად და დაუყოვნებლივ ჩვენი პირველი წერილობითი მოთხოვნისთანავე.

2. ნახაზები, დიზაინები, მოდელები, სტატისტიკური პროფილები, მონაცემთა მატარებლები და მსგავსი, ისევე როგორც ნებისმიერი მასალა, რომელიც მიწოდებულია ჩვენს მიერ, რჩება ჩვენს საკუთრებაში. ისინი დაცულია საავტორო უფლებებით და არცერთი მათგანი, ისევე როგორც არც ერთი საქონელი, რომელიც დამზადებულია მათი გამოყენებით, არ შეიძლება გადაეცეს მესამე მხარეს ჩვენი ნებართვის გარეშე. ასევე არ შეიძლება მათი გამოყენება მესამე მხარეების მიერ ან მათი გამოყენება სარეკლამო მიზნებისთვის ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ,

რომლიც განმავლობაში ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს ხელშეკრულების დარღვევის გამო. გარდა ამისა, ნებისმიერი ასეთი ქცევა გვაძლევს უფლებას, შევწყვიტოთ კონტრაქტი.

VI. დაზღვევა

1. მომწოდებელი მისი ხარჯით უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის წარმოდგენას, რომელიც საკმარისია მის მიერ, მისი თანამშრომლების, მისი აგენტების ან თავად მის მიერ მოწოდებული საქონლის მიერ მიყენებული ზიანის დასაფარად. მომწოდებელმა, ჩვენი მოთხოვნით, უნდა გვაცნობოს დაზღვევის მოცულობის შესახებ, ზიანის თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

VII. გადაზიდვის ინსტრუქციები

მომწოდებელი თანახმაა აირჩიოს ტრანსპორტირების მეთოდი, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მოსახერხებელია და ნაკლები ღირებულების მქონე.

VIII. ინვოისების წარმოდგენა და გადახდა

1. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული შესყიდვის ხელშეკრულებაში, ინვოისები, რომლებიც აჩვენებს ფასს, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით, წარმოდგენილი უნდა იყოს "ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფისთვის", c/o HSC GmbH BUK 0010, 69178 Leimen, საქონლის მიღების ან მომსახურების გაწევის შემდეგ.
2. მომწოდებელი პასუხისმგებელია იმაზე, რომ აღნიშნოს ჩვენი შეკვეთის ნომერი ყველა ინვოისზე, ტრანსპორტირების დოკუმენტებზე და ყველა სხვა კორესპონდენციაში. თუ ის არ გააკეთებს ამას, მომწოდებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ამით.
3. გადახდის საბოლოო ვადის ათვლა დაიწყება წინასწარ გაცხადებული დროიდან, მაგრამ არა უადრეს, სანამ არ მოხდება საქონლის მიღება/მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად და შესაბამისი ინვოისის მიღება.
4. გადახდა არ უნდა ჩაითვალოს თანხმობად პირობებზე და ფასებზე. გადახდის დრო არ მოქმედებს მომწოდებლის გარანტიებზე და იმ უფლებაზე, რომ განვაცხადოთ პრეტენზია საქონლის დეფექტთან დაკავშირებით.
5. თუ სხვაგვარად არ არის წერილობით შეთანხმებული. ჩვენ განვახორციელებთ გადახდას 21 დღის განმავლობაში საქონლის მოწოდებიდან და ინვოისის მიღებიდან, 3%-იანი შეღავათით დაუყოვნებლივ გადახდაზე.

IX. ფორს-მაჟორი

1. ფორს-მაჟორი, მათ შორის ომი და მსგავსი მოვლენები, ისევე როგორც ბიზნესის შეფერხება ნებისმიერი სახით, გაფიცვები და სხვა მიზეზები ან მოვლენები, რომლებიც იწვევენ ჩვენი ბიზნეს ოპერაციების შეზღუდვას ან შეფერხებას, გვაძლევს უფლებას, რომ გადავავადოთ მოწოდების მიღება ან მთლიანად ან ნაწილობრივ შევწყვიტოთ ხელშეკრულება. გადადება ან ხელშეკრულებიდან გამოსვლა არ აძლევს უფლებას მომწოდებელს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება რაიმე სახით.

X. მომწოდებლის ქცევის კოდექსი

1. ჩვენ აღვწერეთ და მომწოდებლის ქცევის ჩვენს კოდექსში შევიტანეთ ჩვენეული გაგება იმ საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა, რომლებიც უკავშირდება მდგრად განვითარებას და ფუნდამენტურ ეკოლოგიურ, შრომის და სოციალურ სტანდარტებს. ის ხელმისაწვდომია მისამართზე http://www.heidelbergcement.com/en/purchasing. მომწოდებელმა უნდა დაიცვას მომწოდებლის ქცევის ჩვენეული კოდექსი. ჩვენ შეიძლება შევწყვიტოთ ხელშეკრულება – თუ აუცილებელია, წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ – იმ შემთხვევაში, თუ

მომწოდებელი არღვევს მომწოდებლის ქცევის კოდექსში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და სტანდარტებს. გარდა ამისა, მომწოდებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისი თანამშრომლები და ქვეკონტრაქტორები ასევე დაიცავენ სტანდარტებს, რომლებიც მოცემულია მომწოდებლის ქცევის კოდექსში.

XI. საქმიანობის ადგილი, მოქმედი კანონმდებლობა, იურისდიქცია და შესყიდვების პირობების სავალდებულო რედაქცია

1. საქმიანობის ადგილად ითვლება ის ადგილი, სადაც უნდა მოხდეს საქონლის მოწოდება ან სადაც მომსახურება უნდა იყოს გაწეული.
2. ხელშეკრულება და ეს პირობები ექვემდებარება გერმანიის კანონებს, გარდა გაერთიანებული ერების კონვენციისა საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შესახებ (CISG) და კანონთა კონფლიქტის შესახებ (IPR) გერმანული დებულებებისა.
3. ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება ხელშეკრულებით ურთიერთობებთან დაკავშირებით, მიმართული უნდა იყოს ჰაიდელბერგის იურისდიქციაში, ან, ჩვენი გადაწყვეტილებით, მომწოდებლის ზოგად იურისდიქციაში.
4. შესყიდვების ეს ზოგადი პირობები შედგენილია გერმანულ და ინგლისურ ენებზე. თუ სხვაგვარად არ არის პირდაპირ მითითებული წერილობითი ფორმით, შესყიდვის ამ ზოგადი პირობების ინგლისურ ვერსიას მხოლოდ საინფორმაციო დანიშნულება აქვს. რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში გერმანულ და ინგლისურ ვერსიებს შორის, უპირატესობა ენიჭება გერმანულ ვერსიას.

XII. დებულებების დამოუკიდებლობა

იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვების ამ ზოგადი პირობების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ჩათვლილი, დანარჩენი დებულებები ძალაში რჩება.

ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფი
(HeidelbergCement AG)
Berliner Straße 6
69120 ჰაიდელბერგი
გერმანია